ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4805309

ნომერი: AR1719328

თარიღი : 19.12.2019

გაცემის თარიღი : 26.12.2019

გაცნობის თარიღი : 26.12.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ცისკარიშვილი პ/ნ 59001025425
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- საწყობი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4168736
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 14.09.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასაწყობე ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსი ცისკარიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ESS
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404935816
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ცისკარიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 59001025425

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2000.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 692.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 155.4
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 0.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 13.8
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 5.3
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 136.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 469.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 403.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 65.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.34
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.54
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=696.5/2000=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=760.7/2000=0.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=169.1/2000=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურის 14.09.2018 წლის №4168736 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები „საწყობის“ მშენებლობის მიზნით , რომლის საფუძველზეც 24/04/2019 წლის № 4470029 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ფეიქრები N21, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.11.04.029.105), საწყობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
მიმდინარე (AR1719328) განაცხადით ითხოვთ მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას .
წარმოდგენილი დოკუმენტაციით , როგორც ვიზუალური ასევე გეგმარებიდან გამომდინარე შენობა არ წარმოადგენს სასაწყობე ფუნქციის შენობას , ამავე დროს რომც მიესადაგებოდეს არჩეული ნომენკლატურით საწყობის შენობას , ვინაიდან მეორე სასაწყობე ობიექტის მშენებლობის განხორციელებაზე არ დადგენილა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები(რაც ელექტრონულად ატვირთული საარქივო დოკუმენტაციის გადამოწმებით დგინდება) ამასთან სამსახურში მიმდინარეობს საქმის წარმოება AR1722373 განცხადების საფუძველზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის საოფისე და სასაწყობე ობიექტის მშენებლობის მიზნით სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე , რაც მიესადაგება წარმოდგენილი პროექტით საპროექტო ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებას , გამომდინარე აღნიშნულიდან საფუძვლის არ არსებობის გამო (ანუ პირველი სტადიის გავლის გარეშე) სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ასევე გაცნობებთ სამსახური თქვენს საკითხთან დაკავშირებით იმსჯელებს მხოლოდ AR1722373 განცხადების წარმოების დასრულების შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ დადგინდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.